ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6023160

ნომერი: AR1908798

თარიღი : 24.06.2022

გაცემის თარიღი : 06.07.2022

გაცნობის თარიღი : 11.07.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ვახტანგ ტაბლიაშვილის ქუჩა, N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ჩოჩია პ/ნ 01008023007
- თბილისი ლ.კავსაძის ქ. N 7ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 24 ივნისის №AR1908798 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2021 წლის 23 აპრილის №5378847 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2022 წლის 01 ივლისის №6013797 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები სრულად არ იქნა შევსებული. კერძოდ, საცხოვრებელ ფართობებში ნაწილობრივ კვლავ შეყვანილია კოლონების და შახტების ფართობები. ასევე, წარმოდგენილ +19.80 ნიშნულის გეგმაზე, „E-C“ და „1-3“ ღერძებში შეთანხმებულთან მიმართებით კვლავ შეცვლილია გეგმარება, რაც არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას. ამასთან, კვლავ განგიმარტავთ, რომ ღია ავტოსადგომები არ შედის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, შესაბამისად ავტოსადგომისა და საერთო ფართობში ვერ დაფიქსირდება. თუმცა, შესაძლებელია მისი ცალკე ფართობად დაფიქსირება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დაზუსტებულ იქნას მოთხოვნა საცხოვრებელ და საერთო ფართობებთან, ასევე, ღია ავტოსადგომების ფართობის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საჭიროა წარმოდგენილ იქნას სამსახურის 2021 წლის 23 აპრილის №5378847 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები, მხოლოდ ფართობების გასწორებით (გეგმარების შეცვლის გარეშე).
ვინაიდან სამსახურის 2022 წლის 01 ივლისის №6013797 ბრძანებას გაეცანით 2022 წლის 01 ივლისს, ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 29 (ოცდაცხრა) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 29 (ოცდაცხრა) სამუშაო დღის ვადაში.
აღნიშნულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2022 წლის 24 ივნისის №AR1908798 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.